პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
შაბათი
6 დეკემბერი
№ 280 (17922)
ფასი 2 კაპ.

შევქმნათ მაღალიდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები

საქართველოს არქიტექტორთა XI ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს არქიტექტორთა XI ყრილობის მონაწილეებს და თქვენი სახით — რესპუბლიკის ყველა ხუროთმოძღვარს.

არქიტექტორთა მორიგი ყრილობა ეწყობა დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, როცა მიმდინარეობს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის სამზადისი, გაჩაღებულია საყოველთაო ბრძოლა სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პროგრამის წარმატებული განხორციელებისათვის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ამაღლების, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში პარტიის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXVI ყრილობისათვის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

უდიდესი სიხარული გამოიწვია რესპუბლიკის მშრომელთა დიდმა გამარჯვებამ, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობის ზრდის ტემპის ხუთი წლის დავალება, და ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისალმებამ.

მეათე ხუთწლედის განმავლობაში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკა, უმჯობესდებოდა ხალხის კეთილდღეობა, უფრო სრულად კმაყოფილდებოდა მშრომელთა სულიერი მოთხოვნილებანი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა შესრულებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის არქიტექტორებისა და დამპროექტებლების მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა.

თქვენი მიზანდასახული, შემოქმედებითი მოღვაწეობის წყალობით ბოლო წლებში შეიქმნა შესანიშნავი ნაგებობანი, რომლებმაც ღირსეული ადგილი დიაკავეს საბჭოთა არქიტექტურაში და აუმჯობესებენ საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, უფრო სრულად აკმაყოფილებენ მათს სულიერ მოთხოვნილებებს.

ბევრმა თქვენმა ნამუშევარმა მოიპოვა საზოგადოებრიობის ფართო აღიარება და მაღალი შეფასება სრულიად საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებსა და დათვალიერებებზე.

კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე პარტიის დირექტივების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ლ. ი. ბრეჟნევის მითითებების განხორციელებათვის რომ მუშაობენ, რესპუბლიკის ხუროთმოძღვარნი მოწოდებულნი არიან კვლავაც აამაღლონ დასაპროექტებელი ნაგებობებისა და ანსამბლების ხარისხი და მხატვრული გამომახვეწილობა, შეამცირონ მშენებლობის ხანგრძლივობა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ კაპიტალური დაბანდებანი.

გადასაწყვეტია ქალაქმშენებლობის რთული ამოცანები. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენი ქალაქებისა და კურორტების ინერსახეს, განსაკუთრებით — სასოფლო მშენებლობას.

რესპუბლიკის. თითოეული არქიტექტორის ვალია ესწრაფვოდეს არქიტექტურულ ნაწარმოებთა პარმონიულ შერწყმას საქართველოს ბუნებრივ და კლიმატურ თავისებურებებთან, შემოქმედებითად ამუშავებდეს და იყენებდეს ეროვნული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, აღწევდეს ნაგებობათა ფორმისა და ფუნქციური დანიშნულების ღრმა დიალექტიკურ ერთიანობას.

ჩვენი არქიტექტურის წარმატებანი დიდად არის დამოკიდებული საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ქმედითს მუშაობაზე, რომელიც მოწოდებულია ყოველდღიურად რაზმავდეს ქართველ ხუროთმოძღვართა კოლექტივს, წარმართავდეს მათს მეცადინეობას უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადასაწყვეტად, ამაღლებდეს ოსტატობას, პასუხისმგებლობას შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისათვის, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში აბამდეს ახალგაზრდა არქიტექტორებს, ხელს უწყობდეს მათ შემოქმედებითს ზრდას, ავითარებდეს პრინციპულ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, აზოგადებდეს და პროპაგანდას უწევდეს, თანამედროვე ქართული არქიტექტურის მიღწევებს, ყოველნაირად აფართოებდეს შემოქმედებითს კონტაქტებს. კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს არქიტექტურულ-სამშენებლო მეცნიერების როლის ამაღლებას, არქიტექტურის თეორიის განვითარებას, საპროექტო საქმის გაუმჯობესებას, გამოიჩინოს ნამდვილი ნოვატორობა, უნარიანად გამოიყენოს პროგრესული საბჭოური და საზღვარგარეთული გამოცდილება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო არქიტექტორთა XI ყრილობას უსურვებენ ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის არქიტექტორები ერთმანეთს შეუუბამენენ უფრო სრული თაობის ხუროთმოძღვართა გამოცდილებას და ახალგაზრდათა ენთუზიაზმს, და მნიშვნელოვან წარმატებებს მოიპოვებენ მაღალიდეური და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებების შექმნაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ბარჩიკოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ოლშოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. დენენი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. დენენი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ბორბანდი;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს უკანასკნელი თვეების მანძილზე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების შესახებ. მათ მიაჩნიათ, რომ მოვლენათა მიმდინარეობა ადასტურებს იმ შეფასებათა სისწორეს და წინადადებათა აქტუალობას, რომლებიც ვარშავის 1980 წლის მაისში გამართულ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე წამოაყენეს. ეს წინადადებანი დადებითს გავლენას ახდენენ ევროპასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში მიმდინარე პროცესებზე, შეესაბამებიან ხალხთა ინტერესებს.

ამყოფილებით აღინიშნა, რომ გაჟღერდა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა პოლიტიკური კონტაქტები, გრძელდება დიალოგი საერთაშორისო პრობლემებზე; ნაყოფიერად განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა სოციალისტური და სხვა ქვეყნების წინადადებებს, რომელთა მიზანია, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს შეიარაღების შეზღუდვისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტის ქმედითი ღონისძიებანი. ყოველივე ეს ხელს უწყობს დაძაბულობის შენელების პროცესს.

სოციალისტურმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ კვლავაც შემატონ წვლილი საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას, მშვიდობის განმტკიცებას, დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, ყველა კონფლიქტის გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით. შეხვედრის მონაწილენი მტკიცედ იღეწნენ. რათა განავითარონ ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის პრინციპების საფუძველზე, უარი თქვან სახელმწიფოებმა თავიანთ ურთიერთობაში ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენებით დამუქრებაზე, განუხრელად სცენ პატივი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისინი იღწვიან, რათა განავითარონ თანამშრომლობა მთელ პროგრესულ, დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ძალებთან, გამამტკიცონ ყველა ხალხთა სოლიდარობა ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში, დაამკვიდრონ მშვიდობის პოლიტიკა, განიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული განიარაღების პროცესი, უზრუნველყონ დაძაბულობის შენელება და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს მზადყოფნა კონსტრუქციულად წარმართონ საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის განვითარებაში, თუ ასეთსავე მიდგომას გამოიჩენს ამერიკის ახალი ადმინისტრაცია.

თათბირის მონაწილე ქვეყნები მიესალმებიან მადრიდის შეხვედრის მუშაობის დაწყებას და ბრარს უბერენ მის ისეთ განვითარებას, რომელიც ახალ პერსპექტივებს დაუსახავდა ჰელსინკის დოკუმენტების განხორციელების, კონტინენტზე მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების დამკვიდრებას.

ამავე დროს შეხვედრის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ მსოფლიოში კვლავ დაძაბული ვითარებაა. გამალებული შეიარაღება სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენს. მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში არ დამცხრალა სამხედრო კონფრონტაციისა და დაძაბულობის კერები. წარმოიშობა ახალი კონფლიქტები. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ახლა მეტი სიფხიზლეა საჭირო იმპერიალისტური ძალების აგრესიული მისწრაფებების, რეაქციის იმ ცდების მიმართ, რომ ავონან სოციალისტური ქვეყნების, განვითარებადი სახელმწიფოების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების პოზიციებს.

შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის, თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის საფუძველზე.

შეხვედრაზე გამოთქვა რწმენა, რომ ყველა იმ ქვეყანისა და ხალხებს, რომლებსაც მშვიდობა, უშიშრება და საერთაშორისო თანამშრომლობა სწადიათ, უნარი შესწევთ გაერთიანებული მეცადინეობით უზრუნველყონ საერთაშორისო განვითარების წამყვანი ტენდენციის დაძაბულობის შენელების დამკვიდრება.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის შესახებ. ისინი იღწვიან, რათა შემდგომ განავითარონ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, უზრუნველყონ გეგმების კოორდინაცია თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის, თავიანთი ხალხების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ამბების განვითარება, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 პლენუმის შედეგები. შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ მომმე პოლონეთის კომუნისტები, მუშათა კლასი, მშრომელები დაძლევენ წამოჭრილ სიძნელეებს, უზრუნველყოფენ ქვეყნის შემდგომ განვითარებას სოციალისტური გზით. დადასტურდა, რომ სოციალისტურ პოლონეთს, პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას და პოლონელ ხალხს მტკიცედ შეუძლიათ იქონინონ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ძმური სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ პოლონეთი იყო, არის და იქნება სოციალისტური სახელმწიფო, სოციალიზმის ქვეყნების საერთო ოჯახის მტკიცე რგოლი.

სოციალისტური ქვეყნების პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრა ამხანაგური ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა ერთიანობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, გამომცემლობების, საინფორმაციო საგენტოების და სხვა იდეოლოგიურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის მთელი რიგი სამხარეო და საოლქო კომიტეტების პარტაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების თათბირი.

განიხილეს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში გაჩაღდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პროექტის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების“ საყოველთაო-სახალხო განხილვა.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ი. დოლგიხმა, თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა როლი, რომელიც მასობრივ-ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს ეკისრებათ როგორც საყოველთაო-სახალხო ტრიბუნას „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ განმარტებისა და განხილვის საქმეში, სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასავითარებლად ხალხის მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის შემდგომ აღმავლობაში. (საკდესი).

მეგობრობა მტკიცდება

საბჭოთა და უნგრელ ხალხებს შორის მეგობრობა სოციალიზმისა და მშვიდობის გზით ორი მომმე ქვეყნის წარმატებული სვლის დადმნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს აღნიშნეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების V სრულიად საკავშირო კონფერენციის მონაწილეებმა. კონფერენცია გაიმართა მოსკოვში.

ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრაზე

1980 წლის 5 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ტოდოროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დ. მეთოდიევი;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჰ. ალბერტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ე. მილკე;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დ. მეთოდიევი;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ი. ვირდეცი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. კაბაკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ანდრეი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ს. გ. გორშკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. დენენი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ბორბანდი;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბილიაკი.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს ანგარიში გაუწიეს ეკონომიკური, სოციალური და სოციალისტური ინტეგრაციის, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობების, ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნიკის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ნედლეულისა და საკვების, ეკონომიკური ურთიერთობების, ფასწარმოქმნის, ფინანსების, ეროვნული ეკონომიკის, ეკონომიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზაციის, ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატური სატელეფონო სადგურის, სწრაფი ტემპით გაგრძელდება რკინიგზის ვაგზლისა და ქალაქის სხვა ობიექტების მშენებლობა. მწყობრში ჩადგება სკოლების, საბავშვო ბაღების ახალი კეთილმოწყობილი შენობები, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტები. ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება გათვალისწინებულია „ელმავალმშენებლის“, „ელექტროხელსაწყოს“, „ელექტროავტომატის“ საწარმოო გაერთიანებებში, ეს კი ნიშნავს, რომ კიდევ უფრო ინტენსიურად განვითარდება ელექტროტექნიკური, ელექტრონული და ხელსაგლდანის, ვაზისუბნის, ლილოსა და ნუცუბიძის პლატოს მიკრორაიონებში ათი ათასი თბილისელი ოზიმების ახალმოსახლეობას მეთვრამეტე ხუთწლედის პირველ წელიწადს. გადაწყდა საბინაო მშენებლობას მოხმარდეს 98,4 მილიონი მანეთი, რაც 10 მილიონი მანეთით მეტია მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს დახარჯულთან შედარებით. დედაქალაქის ახალ რაიონში — გლდანში მწყობრში ჩადგება ათიათასნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური, სწრაფი ტემპით გაგრძელდება

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 81: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

წყოთსაშენებელი მრეწველობა.

ეს ითქვა „ქალაქ თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმისა და თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მოხსენებაში, რომელიც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მეოთხე სესიაზე გაიკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. გაბუნიამ.

სესიამ მოისმინა აგრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის დეპუტატ ს. სვანიძის მოხსენება „ქალაქ თბილისის 1981 წლის ბიუჯეტისა და 1979 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ზორაბიშვილმა.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილებანი ქალაქ თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის გეგმისა და 1980 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის, ქალაქ თბილისის 1981 წლის ბიუჯეტისა და 1979 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სესიამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ დეპუტატი ბ. სარალიძე გაათავისუფლა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით. (საქინფორმი).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲘ

4 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის არქიტექტორთა XI ყრილობამ.

იგი შესავალი სიტყვით გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა ქართველმა ხუროთმოძღვარმა, სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ა. ქურდიანმა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

აირჩიეს აგრეთვე ყრილობის პრეზიდიუმი, სამანდატო, სარევიზიო და სარედაქციო კომისიები.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გ. ორლოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები პ. გილაშვილი, გ. ეფუქიძე, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ო. ჩერქეზიანი. აქვე არიან სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ილინსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ანდრონიკაშვილი, რესპუბლიკის მინისტრები, წამყვანი არქიტექტორები, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიიდან, უზბეკეთიდან, ლატვიიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან, უზბეკეთიდან, უკრაინიდან ჩამოსული სტუმრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგემ გ. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის არქიტექტორთა XI ყრილობისადმი.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ი. ჩხენკელმა.

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ე. კალანდაძემ, სარევიზიო კომისიის მოხსენება — კომისიის თავმჯდომარემ, ქალაქ თბილისის მთავარმა არქიტექტორმა ნ. მგალობლიშვილმა.

5 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა არქიტექტორთა XI ყრილობამ.

ყრილობაზე გამოსულებმა გაშუქეს ქართველ ხუროთმოძღვართა აქტიურული ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პროექტის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის ძირითადი მიმართულებების“ შესაბამისად.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მოსკოვის ორგანიზაციის, ესტონეთის არქიტექტორთა კავშირის ტარტუს ორგანიზაციის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ლატვიის, აზერბაიჯანის, უკრაინის, სომხეთისა და ყაზახეთის არქიტექტორთა კავშირების, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის ლენინგრადის ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივნის, სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორის აკადემიკოს გ. ორლოვის გამოსვლას.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

ყრილობამ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

● ●

ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის პირველი პლენუმი. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია თბილისის მთავარი არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელოსნოს ხელმძღვანელი გ. გაბუნია, მოადგილეებად — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის დოცენტები ვ. დავითაია და თ. ჩიჩუა, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის სახელოსნოს ხელმძღვანელი გ. ბათიაშვილი, ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ პროექტის მთავარი არქიტექტორი ვ. მიქელაძე.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ჩხეტია. (საქინფორმი).

სურათზე: საბჭოთა დელეგაცია შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საქართველოს საბჭო

დებულება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ადვოკატურის შესახებ

1.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ადვოკატურის ამოცანები.

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საბჭოთა ადვოკატურის ძირითადი ამოცანაა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა.

საქართველოს სსრ ადვოკატურა ხელს უწყობს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მართლმსაჯულების განხორციელებას, სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სხვა პირთა უფლებების, პატივისა და ღირსების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ადვოკატურის შესახებ

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა ადვოკატურის შესახებ შედგება „სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ“ სსრ კავშირის კანონისაგან, რომელიც განსაზღვრავს სსრ კავშირში ადვოკატურის ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს, მის შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, ამ დებულებისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

ადვოკატთა უფლებებსა და მოვალეობებს სამოქალაქო, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დავალებათა შესრულებისას აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა.

2.

ადვოკატთა კოლეგიები და მათი ორგანოები

მუხლი 3. ადვოკატთა კოლეგიები

ადვოკატთა კოლეგიები წარმოადგენენ იმ პირთა ნებაყოფლობით გაერთიანებებს, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ეწევიან.

ადვოკატთა კოლეგია იქმნება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირთაგან შემდგარი დამფუძნებელი ჯგუფის განცხადებით ან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ინიციატივით. ადვოკატთა კოლეგიის შექმნის შესახებ წინადადება ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, რომელიც თანხმობის შემთხვევაში შესაბამისად წარუდგენს მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად და სარეგისტრაციოდ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მოქმედებენ საქართველოს სსრ ადვოკატთა რესპუბლიკური კოლეგია, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა რესპუბლიკური კოლეგიები.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, როცა ეს საჭიროა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად, შეიძლება შეიქმნას ადვოკატთა სატერიტორიათაშორისო კოლეგიები და სხვა კოლეგიები.

ადვოკატთა კოლეგიები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

მუხლი 4. ადვოკატთა კოლეგიის ორგანოები

ადვოკატთა ყოლეგიის უმაღლესი ორგანოა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია), მისი აღმასრულებელი ორგანო — პრეზიდიუმი, საკონტროლო-სარევიზიო ორგანო — სარევიზიო კომისია.

მუხლი 5. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია)

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას) იწვევენ წელიწადში ერთხელ მაინც.

საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება კოლეგიის წევრთა შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა კონფერენციას იწვევენ წარმომადგენლობის იმ ნორმის მიხედვით, რომელსაც ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი დაადგენს, და იგი უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს, იურიდიული კონსულტაციების მიხედვით არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც. საერთო კრება (კონფერენცია) ყველა საკითხს წყვეტს კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა ხმების უმრავლესობით.

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრებას (კონფერენციას) იწვევენ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ინიციატივით, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, ადგილობრივ საბჭოთა დეპუტატთა ყოველ მეხუთე სამოქალაქო სასამართლოს ან სარეგისტრაციოდ.

მუხლი 6. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) უფლებამოსილება

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია):

ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმსა და სარევიზიო კომისიას;

ადგენს ადვოკატთა კოლეგიის რიცხობრივ შემადგენლობას, შტატებს, შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვას, რასაც შემდგომ ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები.

ისმენს და ამტკიცებს ანგარიშებს კოლეგიის პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის საქმიანობის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებებს კოლეგიისა და მისი ორგანოების მუშაობის სხვა საკითხებზე;

ამტკიცებს პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით ადვოკატთა კოლეგიის შრომის შინაგანაწესს;

განსაზღვრავს ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

განიხილავს საჩივრებს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

განიხილავს ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ადვოკატთა კოლეგიის წევრფა საერთო კრებას (კონფერენციას) უფლება აქვს ვადამდე გაიწვიოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებმაც არ გაამართლეს მათდამი გამოცხადებული ნდობა.

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) მიერ.

მუხლი 7. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმს ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით.

პრეზიდიუმის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია).

პრეზიდიუმში არჩეულად ჩაითვლებიან კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა ხმების უმრავლესობა.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს (მოადგილეებს).

პრეზიდიუმის შემადგენლობიდან ერთ-ერთი წევრის გასვლის შემთხვევაში ადვოკატთა კოლეგიის წევრთა მორიგ საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) შეიძლება არჩეულ იქნეს ახალი წევრი გასულის ნაცვლად ამ დებულებით დადგენილი წესით.

პრეზიდიუმის საქმიანობა დამყარებულია კოლექტიური ხელმძღვანელობის, საჯაროობის, კოლეგიის წევრთა წინაშე რეგულარული ანგარიშგების, პრეზიდიუმის მუშაობაში ადვოკატთა ფართოდ ჩაბმის საფუძველზე. კოლეგიის პრეზიდიუმთან შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი ორგანოები, რომლებიც დაეხმარებიან კოლეგიის პრეზიდიუმს მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაში.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი თავის სხდომებს ატარებს პრეზიდიუმის წევრთა არანაკლებ ნახევრის დასწრების შემთხვევაში.

პრეზიდიუმს უფლება აქვს გაიხილოს კოლეგიაში მიღების, კოლეგიიდან გამოყვანის და გარიცხვის საკითხები, თუ სხდომას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობის ორი მესამედი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხი განიხილება პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება შეიძლება გადაისინჯოს თვით პრეზიდიუმის ან ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრების (კონფერენციის) მიერ.

მუხლი 8. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის უფლებამოსილება

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი:

იწვევს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრებებს (კონფერენციებს);

აწყობს დადგენილი წესით იურიდიულ კონსულტაციებს და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას, ამოწმებს იურიდიული კონსულტაციებისა და ცალკეული ადვოკატების მუშაობას;

ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან იურიდიული კონსულტაციების გამგეებს შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებასთან, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით;

იღებს ადვოკატებს ადვოკატთა კოლეგიის წევრებად და სტაჟიორთა შემადგენლობაში;

ორგანიზაციას უწევს სტაჟირების გავლას, ანაწილებს ადვოკატებს იურიდიული კონსულტაციების მიხედვით, წყვეტს საკითხს მათი ერთი იურიდიული კონსულტაციიდან მეორეში გადაყვანის შესახებ, აგრეთვე გამოყავს და რიცხავს კოლეგიის წევრობიდან და სტაჟიორთა შემადგენლობიდან;

ამტკიცებს იურიდიული კონსულტაციების შტატებსა და ხარჯთაღრიცხვას;

ახორციელებს ღონისძიებებს კოლეგიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ახორციელებს კონტროლს ადვოკატთა მუშაობის ხარისხისადმი, აზოგადებს და ავრცელებს იურიდიული კონსულტაციებისა და ადვოკატების მუშაობის დადებით გამოცდილებას, შეიმუშავებს და გამოსცემს მეთოდიურ სახელმძღვანელოებს ადვოკატთა საქმიანობის საკითხებზე;

კონტროლს უწევს ადვოკატთა კოლეგიის შრომის შინაგანაწესის დაცვას; იყენებს წახალისების ზომებს, იხილავს საქმეებს კოლეგიის წევრთა დისციპლინური გადაცდომების შესახებ და დამნაშავეებს ადებს დისციპლინურ სახდელს;

ახორციელებს კონტროლს იურიდიულ კონსულტაციებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დადგენილი წესის დაცვაზე;

კონტროლს უწევს ადვოკატთა მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესისა და ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესის დაცვას; იღებს გადაწყვეტილებებს უფასო იურიდიული დახმარების თაობაზე;

განკარგავს კოლეგიის სახსრებს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

წარმოადგინს ადვოკატთა კოლეგიას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ახორციელებს ღონისძიებებს ადვოკატთა და კოლეგიის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მათი შრომის დაცვისათვის;

ორგანიზაციას უწევს კოლეგიაში არსებული მასალების მიხედვით დანაშაულებრივ გამოვლენთა და კანონიერების სხვა დარღვევათა მიზეზების შესწავლასა და განზოგადებას და შეაქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შესაბამისი წინადადებანი, აგრეთვე უზრუნველყოფს ადვოკატთა მონაწილეობას საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდაში;

ორგანიზაციას უწევს საცნობარო მუშაობის წარმართვას კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის საკითხებზე;

აწარმოებს სტატისტიკურ და საფინანსო ანგარიშგებას დადგენილი ფორმების მიხედვით;

წარუდგენს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციას ადვოკატთა კოლეგიის საქმიანობის შესახებ.

მუხლი 9. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი

ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

ორგანიზაციას უწევს და გეგმავს პრეზიდიუმის მუშაობას და ამზადებს საკითხებს მის სხდომაზე განსახილველად;

ამზადებს და შეაქვს პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველად კოლეგიაში ადვოკატთა და სტაჟიორთა მიღების, შემადგენლობიდან მათი გამოყვანის ან გარიცხვის საკითხებს;

ორგანიზაციას უწევს ადვოკატთა მოქმედებების შესახებ საჩივრებისა და სხვა მასალების შემოწმებას და შეაქვს სათანადო წინადადებანი პრეზიდიუმის განსახილველად ან შემოწმების მასალებს გადასაწყვეტად გადასცემს იურიდიული კონსულტაციის ადვოკატთა კრებას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად;

თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

წარმოადგენს კრედიტების განმკარგულებელს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში;

პრეზიდიუმის სახელით მიმოწერას ეწევა დაწესებულებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და ცალკეულ მოქალაქეებთან;

ხელმძღვანელობს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის აპარატის მუშაობას, იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს პრეზიდიუმის აპარატის მუშაკებსა და იურიდიული კონსულტაციების ბუღალტრებს.

მუხლი 10. ადვოკატთა კოლეგიის სარევიზიო კომისია

სარევიზიო კომისიას ირჩევს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია) ფარული კენჭისყრით სამი წლის ვადით.

სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს ადვოკატთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია). არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა ხმების უმრავლესობა.

ადვოკატთა კოლეგიის სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობიდან ერთ-ერთი წევრის გასვლის შემთხვევაში მორიგ საერთო კრებაზე (კონფერენციაზე) შეიძლება არჩეულ იქნეს ახალი წევრი გასულის ნაცვლად ამ დებულებით დადგენილი წესით.

ადვოკატთა კოლეგიის სარევიზიო კომისია ამოწმებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის, იურიდიული კონსულტაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, აგრეთვე ახორციელებს კონტროლს წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესსა და ვადაზე.

3.

ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობა

მუხლი 11. ადვოკატთა კოლეგიის წევრობა

ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიიღება სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურისტის სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი. კოლეგიის წევრად აღნიშნულ პირთა მიღებას შეიძლება წინ უძღოდეს სამ თვემდე საგამოცდო ვადის გავლა.

პირი, რომელმაც დაამთავრა უმაღლესი იურიდიული სასწავლებელი და არა აქვს იურისტის სპეციალობით მუშაობის სტაჟი ან ასეთი სტაჟი ორ წელზე ნაკლები აქვს, ადვოკატთა კოლეგიაში მიიღება კოლეგიაში ექვსი თვიდან ერთ წლამდე სტაჟირების გავლის შემდეგ. სტაჟირების ორგანიზაციისა და გავლის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია.

ადვოკატთა კოლეგიის წევრი და სტაჟიორი არ შეიძლება მსახურობდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. გამონაკლისი დაიშვება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო ან პედაგოგიურ მოღვაწეობას. იმ რაიონებში, სადაც მუშაობის მოცულობა იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად არასაკმარისია, ადვოკატს შეიძლება იურისკონსულტად მუშაობის ნება დაერთოს.

ადვოკატთა კოლეგიაში მიღების წესი განისაზღვრება ამ დებულებით და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებით.

მუხლი 12. ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიღების წესი

ადვოკატთა კოლეგიის წევრად მიღების შესახებ განცხადება განიხილება, როგორც წესი, განმცხადებლის თანდასწრებით არა უგვიანეს ერთი თვისა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში განცხადების შემოსვლის დღიდან.

ადვოკატები, რომლებიც გასულნი არიან ადვოკატთა კოლეგიიდან არჩევითს თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ან გაწეულნი არიან ვადიან სამხედრო სამსახურში, არჩევითს თანამდებობაზე მუშაობის დამთავრების ან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შემდეგ მათი თხოვნით მიიღებიან იმავე ადვოკატთა კოლეგიაში.

მუხლი 13. ადვოკატთა კოლეგიაში წევრობის შეწყვეტა

კოლეგიიდან ადვოკატის გამოყვანა ხდება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ:

ადვოკატის განცხადებით;

ადვოკატთა კოლეგიაში მიღებისას დაწესებული გამოცდის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო;

თუ გამოირკვა, რომ ადვოკატს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება არ შეუძლია ინასაკმარისი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

კოლეგიიდან ადვოკატის გარიცხვა ხდება ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ შემდეგ შემთხვევებში:

ადვოკატის მიერ შრომის შინაგანაწესის სისტემატური დარღვევის ან თავის მოვალეობათა არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის, თუ ადვოკატის მიმართ ადრე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები;

ისეთი გადაცდომების ჩადენისათვის, რომელთა გამო შეუთავსებელია მისი კოლეგიაში ყოფნა.

ადვოკატის კოლეგიიდან გამოყვანა ან გარიცხვა შეიძლება განსაჩივრდეს სასამართლოს წესით გამოყვანის ან გარიცხვის შესახებ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილების ასლის ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

4.

ადვოკატთა კოლეგიის წევრთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 14. საადვოკატო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

ადვოკატთა კოლეგიის წევრები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის, ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების ინსტრუქციებითა და მეთოდური რეკომენდაციებით და სხვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული სხვა აქტებით. ადვოკატთა კოლეგიის წევრები დადგენილ შემთხვევებში ხელმძღვანელობენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობითაც.

მუხლი 15. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა უფლებანი

ადვოკატთა კოლეგიის წევრს უფლება აქვს:

აირჩიოს და არჩეულ იქნეს ადვოკატთა კოლეგიის ორგანოებში;

დააყენოს ადვოკატთა კოლეგიის ორგანოების წინაშე კოლეგიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, შეიტანოს წინადადებანი მისი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და მონაწილეობა მიიღოს მათს განხილვაში.

პირადად მიიღოს მონაწილეობა კოლეგიის ორგანოების მიერ მისი საქმიანობის ან საქციელის განხილვის ყველა შემთხვევაში;

გამოვიდეს ადვოკატთა კოლეგიის შემადგენლობიდან.

ადვოკატი, რომელიც წარმომადგენელად ან დამცველად გამოდის, უფლებამოსილია:

იწარმომადგენლოს იმ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომლებმაც მიმართეს მას იურიდიული დახმარებისათვის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, რომელთა კომპეტენციაში შედის შესაბამისი საკითხების გადაწყვეტა;

გამოითხოვოს იურიდიული კონსულტაციის მეშვეობით იურიდიული დახმარების გასაწევად საქმის ცნობები, დახასიათებები და სხვა დოკუმენტები ხახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, რომლებიც მოვალენი არიან დადგენილი წესით გასცენ ეს დოკუმენტები ან მათი ასლები.

ადვოკატი არ შეიძლება დაკითხულ იქნეს მოწმედ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა დამცველის ან წარმომადგენლის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 16. ადვოკატთა კოლეგიის წევრთა მოვალეობანი

ადვოკატი მოვალეა თავის საქმიანობაში ზუსტად და განუხრელად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, გამოიყენოს კანონით კანონიერებულ ყველა საშუალება და ხერხი იმ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, რომლებმაც მიმართეს მას იურიდიული დახმარებისათვის.

ადვოკატს უფლება არა აქვს მიიღოს დავალება იურიდიული დახმარების გასაწევად იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ საქმეზე იგი იურიდიულ დახმარებას უწევს ან ადრე უწევდა პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება იმ პირის ინტერესებს, რომელმაც მიმართა მას თხოვნით საქმის წარმოების თაობაზე, ან მონაწილეობდა მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, მოქალაქე პირად, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, მოწმედ ან დამსწრედ, აგრეთვე, თუ საქმის გამოძიებასა ან განხილვაში მონაწილეობს თანამდებობის პირი, რომელიც ადვოკატის ნათესავია.

ადვოკატს უფლება არა აქვს გაახმაუროს ცნობები, რომლებიც მიაწოდა მას მარწმუნებელმა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

ადვოკატი უნდა იყოს მორალური სისპეტაკისა და უმწიკვლო ყოფაქცევის მაგალითი. იგი მოვალეა სისტემატურად სრულყოფილ თავის ცოდნას, იმაღლებდეს იდეურ-პოლიტიკურ დონეს და საქმიან კვალიფიკაციას, აქტიურად მონაწილეობდეს საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდასა და განმარტებაში.

5.

იურიდიული კონსულტაციები

მუხლი 17. იურიდიული კონსულტაციები

იურიდიული დახმარების გასაწევად ადვოკატთა მუშაობის ორგანიზაციისათვის ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმების მიერ ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში იქმნება იურიდიული კონსულტაციები.

იურიდიული კონსულტაციის ადგილსამყოფელს და მასში მომუშავე ადვოკატების რიცხვს განსაზღვრავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი შესაბამისად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილებასთან, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

იურიდიულ კონსულტაციას აქვს მიმდინარე ანგარიში სახბანკში ან შემნახველ სალაროში, მრგვალი ბეჭედი და შტამპი თავისი დასახელებითა და შესაბამისი ადვოკატთა კოლეგიისათვის მიკუთვნების აღნიშვნით.

მუხლი 18. იურიდიული კონსულტაციის გამგის უფლება-მოვალეობანი

იურიდიულ კონსულტაციას ხელმძღვანელობს გამგე, რომელსაც ნიშნავს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი კოლეგიის წევრთა რიცხვიდან.

იურიდიული კონსულტაციის გამგე:

ორგანიზაციას უწევს იურიდიული კონსულტაციის მუშაობას;

დებს შეთანხმებებს მოქალაქეებთან იურიდიული დახმარების აღმოჩენის შესახებ და ხელშეკრულებებს საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან იურიდიული მომსახურების თაობაზე;

წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს მოთხოვნით ნიშნავს ადვოკატებს დაცვის განსახორციელებლად;

ანაწილებს სამუშაოს ადვოკატთა შორის კვალიფიკაციისა და მაუზე პერსონალური მოთხოვნის გათვალისწინებით, ამასთან მან არ უნდა დაუშვას ზოგიერთის გადატვირთვა სამუშაოთი და სხვების სათანადო დატვირთვის გარეშე დატოვება;

ინსტრუქციის შესაბამისად აგენს ადვოკატთა მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ოდენობას, აგრეთვე ათავისუფლებს გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურებისაგან. ახორციელებს კონტროლს ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესის დაცვაზე;

კონტროლს უწევს ადვოკატთა მუშაობის ხარისხს, სტაჟირების გავლას და ახორციელებს ღონისძიებებს ადვოკატთა ფართოდ ჩაბმისა და ადვოკატურის ავტორიტეტის ასამაღლებლად;

ახორციელებს ადვოკატთა ფიზიკურ-ტექნიკური ხელშეწყობა;

ადგენს ადვოკატთა ფარგლებში ადვოკატთა ეთიკურ-ეტიკეტურ ნორმებს

XXVI საკავშირო პარტიული კონგრესისადმი

ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲣᲠᲔᲑᲐ ● ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ● ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲒᲐᲚᲐᲯᲘ დამთავრდება მეათე ხუთწლედი, შრომითი ესტაფეტა უკვე 1981 წელს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის წელს გადაეცემა.

ამ დღეებში გამოქვეყნდა პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისთვის — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, რომელიც ეხება მეცნიერულ საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს. იგი პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელების მაგისტრალურ ამოცანებს გვისახავს. პროექტი მთლიანად განმსჭვალულია ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, შეიცავს პრინციპულად მნიშვნელოვან იდეებსა და მითითებებს.

საბჭოთა ადამიანების შრომამ ოცდაათ და უნარმა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, მართალია რომ, გრანდიოზულ საქმეებსა და მიღწევებში პოვა თავისი გამოხატულება. განვლილი ხუთწლედის მახვილზე თვალნათლივ დადასტურდა, რომ სწორი და მეცნიერული იყო პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკის უფრო მკვეთრ შემობრუნებას ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუჯობესებისათვის.

ამ დიდ მიზანდასახულობათა დარეალებით შესრულება განაპირობა, მძლავრი მრავალდარგოვანი ინდუსტრიის შექმნამ და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებამ. ამას საინჟინრო-ტექნიკური სპეციალისტების, სამეურნეო ხელმძღვანელების, საერთოდ კვალიფიციური კადრების მომზადებამაც შეუწყო ხელი.

საბჭოთა ქვეყნის გაზრდილ ეკონომიკურ პოტენციალზე წარმოდგენას გვიქმნის თუნდაც ის, რომ ბოლო ათეულ ოცდაათ წლებში ერთ-ერთ ადგილზე ხუთ ფრონტზე ვაწარმოებთ ფართოდ ეროვნულ შემოსავალს, რომელიც 1928 წლის — პირველი ხუთწლედის წინა წლის წლიურ მოცულობის უდრის. საბჭოთა კავშირი ახლა მთელი პლანეტის სამრეწველო პროდუქციის მეხუთედს უშვებს, პირველი ადგილი აქვს ფოლადის, ნავთობის (გაზის კონდენსატის ჩათვლით), რკინისა და ბანგანუმის მადნის, კოქსის, მინერალური სასუქების, ცემენტის, თბომავლების, ელმავლებისა და ბოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოებაში. რაკი ასეთიგვარ გადიდდა ჩვენი ეკონომიკური შესაძლებლობანი და რესურსები, ადვილი არა მარტო ვსახავთ, არამედ წყვეტილ კიდეც ისეთ ამოცანებს, რომელთა შესახებ წინა ხუთწლედებში ოცნებაც არ შეგვეძლო.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მეათე ხუთწლედში ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესებას ეროვნული შემოსავლიდან 329 მილიარდი მანეთით მეტი მოხმარდა, ვიდრე წინა ხუთწლედში. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხალხის რეალური შემოსავალი. თუ 1965 წელს მოსახლეობის 4 პროცენტს ქონდა თვიურად 100 მანეთზე მეტი შემოსავალი, მეათე ხუთწლედის დამლევისათვის ამგვარი შემოსავალი მოსახლეობის თითქმის ნახევარს აქვს. უფასო განათლების, სამედიცინო მომსახურების, დასვენების, სიბერეში მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულმა დახმარებამ და შეღავათებმა საზოგადოებრივი ფონდებიდან 134 მილიარდი მანეთით იმატა. ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს ახალმოსახლეობას 10-11 მილიონი საბჭოთა ადამიანი ეზიმრნს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ნათქვამია, რომ ეროვნული შემოსავალი — ეკონომიკის მდგომარეობის ეს განმაზოგადებელი მაჩვენებელი — ხუთი წლის მანძილზე 400 მილიარდი მანეთით გაიზარდა. ეროვნული შემოსავლის მატების სში მეოთხედი მიიღებოდა შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. მრეველების პროდუქცია წინა ხუთწლედთან შედარებით გადიდდა 717 მილიარდი მანეთით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი 50 მილიარდი მანეთით. სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იყო 535 მილიარდი მანეთი, ამოქმედდა ათას ორასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 1975 წლისათვის 805 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ამჟამად კი ტრილიონ 100 მილიარდს გადაჰარბა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები საფუძვლიანად ამაყობენ, რომ მეათე ხუთწლედის გრანდიოზულ მიღწევებში მათი კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომის წვლილიც არის. მეათე ხუთწლედი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, საეტაპო ხუთწლედი იყო ჩვენი რესპუბლიკისათვის. უკანასკნელ ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი მკვეთრად გაზარდა. ჩვენ მოწმენი ვართ საქართველოს სახალხო მეურნეობის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისა, რომელსაც, ჩვეულებრივ, თან სდევს მეურნეობის ხარისხობრივი სრულყოფა, საშუალო-საკავშირო დონესთან შედარებით მაჩორჩილნის თანამიმდევრული დაძლევა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე ჩამორჩენა ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით 23,3-დან 8,9 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობის პროდუქციის წარმოების მიხედვით — თითქმის 8,5 პუნქტით. ამ მიღწევათა საფუძველია სახალხოდ ბრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ხუთწლედის მანძილზე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაზარდა 1,4-ჯერ, ხოლო ფონდუტევადობა — 5,2 პროცენტით. ჩვენმა ეკონომიკამ ვადამდე შეასრულა ხუთი ხუთწლედი. საქართველოს შრომელების ამ დიდ გამარჯვებას მეტი ლაზათი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ეს ბრძანების მოსალოცმა წერილმა. ჩვენი რესპუბლიკის მაგალითად ერთხელ კიდევ დადასტურდა ლენინდ ილიას ძის იმ ხატოვანი გამოთქმის სისწორე, რომ ჩვენი ეკონომიკური პროგრესი შესაძლებელია ხუთწლედები — ეს არის ეკონომიკის ენაზე თარგმნილი ხალხთა ლენინური მეგობრობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ნათქვამია, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი შემუშავებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და პარტიის XXIV, XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მოპოვებულ წარმატებებზე დაყრდნობით.

პროექტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ოთხმოციან წლებში კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომლის უმაღლესი მიზანია ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, უკეთესი პირობების შექმნა იმისთვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს პიროვნება, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, საბჭოთა ადამიანების სოციალური და შრომითი აქტიურობის ზრდის საფუძველზე. სწორედ აქედან გამომდინარეობს ამოცანა, რომ უახლოეს ათწლეულში უნდა უზრუნველვყოთ საზოგადოების შემდგომი სოციალური პროგრესი, განვახორციელოთ ხალხის კეთილდღეობის გაუჯობესების ფართო პროგრამა.

საზოგადოების შემდგომი ეკონომიკური პროგრესი შესაძლებელი — ეს ასევე ეროვნული ენაზე თარგმნილი ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობა.

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ლის მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე, ხოლო ამის ერთ-ერთი საწინდარია ეკონომიკის მეცნიერებებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიის სრულყოფა.

განსახილველი ძირითად მიმართულებათა პროექტის ნიშანდობლივი თვისება მარტო იმით კი არ შემოიფარგლება, რომ მისი შესრულებით ახალი, მძლავრი ნაბიჯი გადაიდგმება ქვეყნის ეკონომიკის პოტენციალის ამაღლებისა და სოციალური განვითარების დარგში, ეს პროექტი წინა ხუთწლედებთან შედარებით გეგმის მეთოდოლოგიითა და სტრუქტურითაც განსხვავდება. ძირითად მიმართულებათა მოქმედების პერიოდი ხუთწლედები კი არ შემოიფარგლება, იგი მეთერთმეტე ხუთწლედის ყველა წლის დავალებებთან ერთად მოიცავს დავალებებს მეთორმეტე ხუთწლედის ბოლო წლისათვის. ეს გეგმის განუწყვეტლობითი პრინციპის განხორციელებაა, დაგეგმვის ჰორიზონტის გაფართოებაა.

დამახასიათებელია, რომ ამ ისტორიულ დოკუმენტში 12 განყოფილებიდან 7 ფორმულირებულია წინანდელი პროექტების ტრადიციის მიხედვით, ხოლო 5 ახლებურად არის გაშუქებული ან სრულიად ახლად არის წარმოდგენილი. თუ წინა დოკუმენტში სოფლის მეურნეობის განვითარების დავალებები ცალკე დარგად იყო წარმოდგენილი, ამჟამად იგი აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელი ნაწილია. მისი განვითარების დავალებები მის მომსახურე დარგებთან მჭიდრო კავშირით განიხილება (აქ გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, სასუქების, საფუარის, კომბინირებული საკვების, შხამქიმიკატების წარმოება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირების, მათი გადამუშავების საწარმოები, სათანადო საბოლოო ნაკეთობათა ვაჭრობა). აგროსამრეწველო კომპლექსის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის მიზნით ჩამოყალიბდება მართვის სისტემა. „უამისოდ, — აღნიშნავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამა წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს პროგრამა კი არ იქნება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილები“. მეცნიერულ-ტექნიკური მიზნობრივი პროგრამის შედგენის გამოცდილების შეტანა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორსანლში ეკონომიკისა და დაგეგმვის მეცნიერების მნიშვნელოვანი წარმატებაა.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერული ძალებით მომდინარეობს ოცზე მეტი მეცნიერულ-ტექნიკური და სამეურნეო მიზნობრივი პროგრამის შედგენა. ამათგან უპირველესად აღსანიშნავია შემდეგი პროგრამები: ხელის შრომის შემცირების პროგრამა, რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის პერსპექტივის დასაბუთება, პროგრამა შემოკლებული სახელწოდებით „საქართველო 2000-რეგიონები“, საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პროგნოზისა და გრძელვადიანი გეგმის საფუძვლების შემუშავება, კოლხეთის ათვისების პროგრამა და სხვა. პროექტი ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სახავს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის, დინამიკურ და შეწონასწორებულ განვითარებას, ყველა დარგის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დაასაბუთა ჩვენი რესპუბლიკისათვის მეცნიერულ-ტექნიკური, საგეგმო-სამეურნეო, დარგთაშორისი და ტერიტორიული მიზნობრივი პროგრამირების გამოყენების მიმართულებები და მნიშვნელოვნად განაზოგადა ისინი. თუ აქამდე მეცნიერება და პრაქტიკა განიხილავდა დაგეგმვისა და მართვის ორ ასპექტს — დარგობრივ და ტერიტორიულ ასპექტებს, ამიერიდან ანალიზისა და მართებული შეხამების სამ ასპექტთან გვაქვს საქმე — დარგობრივ, ტერიტორიულ და მიზნობრივ პროგრამულ ასპექტებთან. ეს მეტად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის განზოგადებაა.

განსახილველად წარმოდგენილი პროექტის სტრუქტურულ სიახლეს წარმოადგენს ცალკე ქვეგანაყოფად ჩამოყალიბებულ ამოცანათა და საგეგმო დავალებათა სისტემა ქვეყნის სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში, ასევე ბუნების დაცვის ღონისძიებათა სისტემა. და, ბოლოს, მეცნიერების განვითარებისა და მართვის სისტემის სრულყოფის დარგში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით არის ჩამოყალიბებული ამოცანები სახელწოდებით: მართვის სრულყოფა, სამეურნეო მექანიზმის დონის ამაღლება მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის აგრარულ სექტორში და სოფლის მეურნეობაში.

როგორც ცნობილია, ჩვენი ხუთწლედები, არსებითად, ძირეულად ერთ საბოლოო მიზანს — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება. მაგრამ თითოეულ ხუთწლედს მაინც აქვს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება. პროექტში მეთერთმეტე ხუთწლედის ლო საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას — 22-24 პროცენტით.

დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი იმისათვის, რომ ტრანსპორტმა სრულად და დროულად დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი გადაზიდვა-გადაყვანაზე, ამაღლდეს სატრანსპორტო სისტემის მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი.

მეთერთმეტე ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროდან კაპიტალური დაბანდებები სახალხო მეურნეობაში გაიზრდება 12-15 პროცენტით. დასახულია ამოცანა, რომ მივაღწიოთ მშენებლობის ძირეულ გაუმჯობესებას, კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანობის ამაღლებას. კაპიტალური დაბანდება უპირველეს ყოვლისა მოხმარდება საწარმოო რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებას, წინათ დაწყებულ მშენებლობათა დამთავრებას.

პროექტი თვალისწინებს ღონისძიებათა სისტემას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 16-18 პროცენტით, მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი 13-16 პროცენტით გადიდდება და მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს 190-195 მანეთს მიაღწევს. უპირველესი ყურადღება დაეთმობა სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგებას, საბინაო პირობებისა და სამედიცინო მომსახურეობის წარმოება გაიზრდება სულ ცოტა 160 ათას ტონამდე, რძისა—სულ ცოტა 710 ათას ტონამდე. კოლხეთის დაბლობზე განხორციელდება მიწების დაშრობისა და ათვისების სამუშაოები 35 ათას ჰექტარზე, მიწების რწყვის სამუშაოები — 60 ათას ჰექტარზე.

ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მატება 4-5 პუნქტით აღემატება საერთო-საკავშირო ანალოგიურ საგეგმო დავალებას, ხოლო სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური პროდუქციის მოცულობა — 10 პუნქტით. ეს საშუალებას იძლევა მეთერთმეტე ხუთწლედში გადამწყვეტ შედეგს მივაღწიოთ საერთო-ეკონომიური და, გარკვეული თვალსაზრისით, ინდუსტრიული განვითარების დონის მხრივ საერთო-რესპუბლიკური დონისაგან ჩამორჩენის დაძლევის დარგში. და, თუ შეზღუდული რესურსები საშუალებას არ იძლევა დაიგეგმოს უფრო დიდი და დაძაბული დავალებები ეკონომიკის ყველა რგოლში, ამის კომპენსაციას მოგვცემს რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობაში პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება, კერძოდ, დამატებით შესაძლებლობათა და ზრდის დაჩქარების რეზერვების ძიების დიაპაზონის გაფართოება, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა ამხანაგი ე. შევარდნაძე მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმზე. „1981 წლისათვის დასახული ზრდის ტემპი და უმნიშვნელოვანესი პროპორციები, — ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ე. შევარდნაძე, — მოწმობს, რომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას დაუდგა თავისი განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი, რომელსაც, უწინარეს ყოვლისა, ახასიათებს საზოგადოებრივი წარმოებისათვის დიდი, უმაგალითო მასშტაბი.

შესრულდება შავი ზღვის სანაპიროს გამაგრების სამუშაოები, დამთავრდება კავკასიის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობა, გაგრძელდება რკინიგზის ხაზის — მარადა-ახალქალაქის მშენებლობა, განვითარდება რესპუბლიკის საკურორტო ზონა და ტურისტული ბაზა.

ჩვენი დიადი ქვეყნის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მომავლის გეგმები ჭეშმარიტად დიდებული და გრანდიოზულია. ისინი ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს, მშრომელ გლეხობას, ინტელიგენციას აღაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის, ახალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის საყოველთაო-სახალხო ფართო და ღრმა განხილვა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების ახალ-ახალ რეზერვებს გამოავლენს, კიდევ უფრო სრულად გამოვლინდება განვითარებული სოციალიზმის უპირატესობანი და შემოქმედებითი ძალები, ორგანულად შეერწყმება ერთმანეთს საზოგადოების, კოლექტივებისა და თითოეული ადამიანის ინტერესები. მეთერთმეტე ხუთწლედისათვის პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგია და ტაქტიკა გვავალებს განუხრელად ვიაროთ წინ, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ვიმუშაოთ მაღალნაყოფიერად, მაღალორგანიზებულად, კიდევ უფრო განვამტკიცოთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რესპუბლიკის პრესტიჟი.

✦

დაიწყო ამ ისტორიული დოკუმენტის განხილვა შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებში, რაიონების, ქალაქების, ოკრუგების აქტივის კრებებსა და პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე, პარტიული, კომკავშირული და ეკონომიური სწავლების სისტემაში, აგრეთვე საუბრები მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას, პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით. საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ახლა მთელი გულისყურით სწავლობს განსახილველ დოკუმენტს, ღრმად სწვდება მის შინაარსს, აზუსტებს მეცნიერული გამოკვლევების ხუთწლიან და 1981 წლის თემატიკურ გეგმებს, ამუშავებს ყრილობისწინა დოკუმენტის პრობაგანდის საქმეში კოლექტივის წევრთა მონაწილეობის, კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და პრაქტიკაში მისი შედეგების დანერგვის ღონისძიებათა სისტემას.

Თ. ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔ.

საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘ

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1981-1985 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ 1990 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ“

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘᲐ ᲒᲖᲔᲑᲘ — ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის პროექტში — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, რომელსაც ამჟამად გულდასმით განიხილავენ ჩვენი გაერთიანების მშრომელები, განსაზღვრულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის ჩარხთმშენებლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ეს ჩვენი გაერთიანების კოლექტივს სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს, ხოლო მათი შესრულება, მოგეხსენებათ, წარმოუდგენელია სათანადო ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობისა და ტექნიკური მომზადების მაღალი დონის გარეშე, რაც მიმდინარე ხუთწლედში, სამწუხაროდ, საკმაოდ მოისუსტებდა ჩვენთან.

გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა არსებული ჩამორჩენის მიზეზები და შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებების გეგმა ისეთი ძირითადი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, როგორიც არის საწარმოს კომპლექსური რეკონსტრუქციის არადამაკმაყოფილებელი ტემპი, კადრების დიდი დენადობა, კვალიფიკაციის საერთო დონის დაქვეითება და სხვ.

მშრომელთა შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ამაღლების საკითხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამ მიზნით გაერთიანებაში ბევრი რამ კეთდება. მწყობრში შევა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, სპორტული კომპლექსები, კეთილმოწყობა კულტურული დანიშნულების ობიექტები, აშენდება დამატებითი საყოფაცხოვრებო სათავსები, პიონერთა ბანაკი, საბავშვო ბაღი და სხვ.

ეგივე მიზნებს ემსახურება რეკონსტრუქციის გეგმით გათვალისწინებული ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, პროგრამული მანქანა-დანადგარების შეძენა (პროგრამული მართვის ჩარხების პარკი გაიზრდება 74 ერთეულით) და სხვ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ნათქვამია, რომ მნიშვნელოვნად მეტი უნდა გამოვუშვათ რიცხვიანი პროგრამული მართვის ლითონდასამუშავებელი ჩარხები და ავტომატური ჩარხები. ამ მხრივ მომავალ ხუთწლედში ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. სრულყოფთ პროდუქციის ნომენკლატურას, რისთვისაც უკვე დაწყებულია მუშაობა, ავითვისებთ 31 ახალი მოდელის ჩარხს, ძირითადად პროგრამული მართვისა და ავტომატურ ხაზებს.

ეს საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა, მაგრამ ჩვენი ამოცანები ნათელია და მათი განხორციელების საიმედო გზებიც დასახული გვაქვს.

Ზ. ᲛᲔᲮᲔᲘᲫᲔ,

თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲒᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲐᲦᲚᲔᲒᲚᲐᲓ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მშრომელები გულდასმით გაეცნენ პრესაში გამოქვეყნებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს პარტიის XXVI ყრილობისათვის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, რომელსაც ამჟამად ბრიგადებში განიხილავენ ჩვენი გაერთიანების მშრომელები, განსაზღვრულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის ჩარხთმშენებლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ეს ჩვენი გაერთიანების კოლექტივს სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს, ხოლო მათი შესრულება, მოგეხსენებათ, წარმოუდგენელია სათანადო ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობისა და ტექნიკური მომზადების მაღალი დონის გარეშე, რაც მიმდინარე ხუთწლედში, სამწუხაროდ, საკმაოდ მოისუსტებდა ჩვენთან.

გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა არსებული ჩამორჩენის ძირითადი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, როგორიც არის საწარმოს კომპლექსური რეკონსტრუქციის არადამაკმაყოფილებელი ტემპი, კადრების დიდი დენადობა, კვალიფიკაციის საერთო დონის დაქვეითება და სხვ.

მშრომელთა შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი ამაღლების საკითხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამ მიზნით გაერთიანებაში ბევრი რამ კეთდება. მწყობრში შევა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, სპორტული კომპლექსები, კეთილმოწყობა კულტურული დანიშნულების ობიექტები, აშენდება დამატებითი საყოფაცხოვრებო სათავსები, პიონერთა ბანაკი, საბავშვო ბაღი და სხვ.

ეგივე მიზნებს ემსახურება რეკონსტრუქციის გეგმით გათვალისწინებული ახალი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, პროგრამული მანქანა-დანადგარების შეძენა (პროგრამული მართვის ჩარხების პარკი გაიზრდება 74 ერთეულით) და სხვ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ნათქვამია, რომ მნიშვნელოვნად მეტი უნდა გამოვუშვათ რიცხვიანი პროგრამული მართვის ლითონდასამუშავებელი ჩარხები და ავტომატური ჩარხები. ამ მხრივ მომავალ ხუთწლედში ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. სრულყოფთ პროდუქციის ნომენკლატურას, რისთვისაც უკვე დაწყებულია მუშაობა, ავითვისებთ 31 ახალი მოდელის ჩარხს, ძირითადად პროგრამული მართვისა და ავტომატურ ხაზებს.

ეს საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა, მაგრამ ჩვენი ამოცანები ნათელია და მათი განხორციელების საიმედო გზებიც დასახული გვაქვს.

Ზ. ᲛᲔᲮᲔᲘᲫᲔ,

თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲛᲐ მეჩაიეებმა წელს და, საერთოდ, მეათე ხუთწლედში დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. მაგრამ, როგორც ვამბობთ ხოლმე, მიღწეული ზღვარი როდია. ჩაის ნედლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად სკკპ ცენტრალურ კომიტეტის პროექტში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობაში უნდა მივაღწიოთ პროდუქციის წარმოების ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ყოველივე ეს ჩვენს მეცნიერ მუშაკებს, სპეციალისტებს, მექანიზატორებს, მეჩაიეებს ახალი ამოცანების წინაშე გვაყენებს. მე კარგად მესმის, რომ მანქანებით მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი ყველგან ერთნაირი არ არის, საჭიროა ამას დიდი ყურადღება მიექცეს.

წელს ჩვენს ბრიგადაში მანქანებით მოკრეფილი ნედლეულის 75 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონში ერთი მანქანა „საქართველო“ 180 ტონა ფოთლს კრეფს. ეს მაშინ, როცა მეურნეობაში საშუალოდ 88 ტონა მოიკრეფა. ამასთან ხარისხიც ჩვენს ბრიგადასთან შედარებით ნაკლები იყო. სხვა მეურნეობებში უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა. ჩემი წინადადებაა, რომ ნედლეულის ხარისხის შემდგომი გადიდებისათვის რაც შეიძლება მალე გავაშენოთ ახალი ჯიშის ჩაი, დაინერგოს ახალი მანქანები.

Ვ. ᲛᲔᲣᲜᲐᲠᲒᲘᲐ,

ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ



ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲘ�გᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის მრეწველობაში მიმდინარე ხუთწლედში უპირატესი ტემპით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა. იგი ამ ხნის მანძილზე 56 პროცენტით, ანუ მრეწველობის საშუალო მაჩვენებელზე 15 პუნქტით უფრო სწრაფად გაიზარდა.

მეთერთმეტე ხუთწლედში პროგრესული ძვრები განხორციელდება მანქანათმშენებლობის შიდადარგობრივ სტრუქტურაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში პარტიის XXVI ყრილობისათვის ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობა 1,6-ჯერ უნდა გაიზარდოს, ეს მიღწეული იქნება შედარებით პროგრესული, მეცნიერებატევადი და ნაკლებად მასალატევადი ქვედარგების უპირატესი ტემპით განვითარების მეოხებით. მარტო მომავალი წლის გეგმირი კომიტეტის პროექტში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობაში უნდა მივაღწიოთ პროდუქციის წარმოების ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას.

ეს ამოცანები ნათელია — გზები — საიმედ

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯუნგრეთი

საკავშირო და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვეტყობინებენ

ემზადებიან გულითადი შეხვედრისათვის

დელი. ინდოელი ხალხი გულითად შეხვედრას უმზადებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა ინდოეთში.

ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით ინდოეთის პარლამენტის ერთ-ერთ ცენტრალურ დარბაზში გაიმართა სემინარი თემაზე: „ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ინდირა განდისთან მშვიდობის, დაძაბულობის შენელების, ეროვნული დამოუკიდებლობის, განვითარების, სტაბილურობისა და პროგრესის საკითხებზე“.

სემინარის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ინდოეთისათვის საბჭოთა კავშირთან სხვადასხვა დარგში თანამშრომლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს ინდოეთში, ხაზგასმით აღნიშნა ინდოეთის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ს. მ. კასიმმა, მის მოლაპარაკებას პრემიერ-მინისტრ ი. განდისთან უაღრესად დიდი, ისტორიული მნიშვნელობა აქვს. უმაღლესი დონის ახალი შეხვედრა, თქვა მან, ორი დიდი ქვეყნის ხელმძღვანელებს შესაძლებლობას მისცემს არა მარტო გაუზიარონ ერთმანეთს აზრი საერთაშორისო ვითარების ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე, არამედ განსაზღვრონ კიდეც მათი გადაწყვეტის გზები.

სემინარის მონაწილეთა ყველა გამოსვლა აღსავსე იყო რწმენით, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ინდოეთში წარმატებული იქნება. ინდოეთში ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს • მიეძღვნა ინდოეთის საზოგადოებრიობის სადამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების აქტივისტები.

ინდოეთში ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ვრცელი პროგრამის ფარგლებში დელში გაიხსნა საბჭოთა ფილმების ფესტივალი.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული თანამშრომლობის გაფართოება ხელს უწყობს ჩვენი ხალხების ურთიერთგაგების გაღრმავებას, განაცხადა ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ლ. იადავმა. რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ფართო ფენების ღრმა კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, ხაზგასმით აღნიშნა მან, რომ ორ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში. ინდოელები მიესალმებიან ლ. ი. ბრეჟნევის მოახლოებულ ვიზიტს, ისინი დარწმუნებული არიან, რომ ვიზიტი იქნება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი მეგობრობის შემდგომი განმტკიცების გზაზე, ხაზგასმით აღნიშნა შ. ლ. იადავმა.

კეთილგონიერების კურსით

ვარშავა. გაზეთებმა გამოაქვეყნეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება ხალხისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა კვლავ მწვავე პოლიტიკური კრიზისის ფაზაშია. მისმა შედეგებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ძირითად ეროვნულ ინტერესებს.

პოლონეთში არიან ადამიანები, აღნიშნულია მოწოდებაში, რომლებიც არ ფარავენ თავიანთ კონტრრევოლუციურ ზრახვებს. ჩავშალოთ მათი გეგმები. ვერ დავუშვებთ, რომ ისინი ანარქიასა და ქაოსს თესავდნენ.

დადგა დრო, როცა საჭიროა, რომ პოლონელთის ყველა რეალისტურად მოაზროვნე ადამიანი შეკავშირდეს კეთილგონიერებისა და პასუხისმგებლობის საერთო კურსის გარშემო. მაშ, მოდით, განვამტკიცოთ პოლონეთის ადგილი მსოფლიოში, ერთხელ კიდევ დავადასტუროთ კავშირი ჩვენს სოციალისტურ მეზობლებთან — ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობის გარანტია, ნათქვამია მოწოდებაში.

აქ გამოქვეყნებულია აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის რეზოლუცია. ცენტრალური კომიტეტი მთელ პარტიას მოუწოდებს გააერთიანოს თავისი რიგები, რათა ზორაც შეასხას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ამოცანებს.

პრესამ დაბეჭდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. კანიას მიერ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე წარმოთქმული საბოლოო სიტყვა. მან აღნიშნა, კი-

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

რძოდ, რომ ამჟამად საჭიროა აღდგეს სოციალიზმის ფუნდამენტური ღირებულებანი, ლენინური ნორმები პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცხოვრებაში. განმტკიცდეს მუშათა კლასის პოზიციები პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წამყვანი როლი.

ახლანდელ პლენუმზე ერთსულოვნად აღვნიშნეთ, თქვა ს. კანიამ, ის საფრთხე, რომელსაც სოციალისტურ წყობილებას უქმნის ქაოსი სახალხო მეურნეობაში, გაფიცვების უპასუხისმგებლო გამოყენება, აშკარა ანტისოციალისტური საქმიანობის გამოვლინებანი, კონტრრევოლუცია. გამოსულმა ორატორებმა სწორად ილაპარაკეს ამაზე, აღნიშნეს, კერძოდ, თუ რა რეაქციული; უკიდურესი ნაციონალისტური ხასიათისაა ეგრეთ წოდებული „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაცია“, რომელიც აყენებს პოლონეთში სოციალისტური წყობილების ძალადური დამხობის პროგრამას.

ჩვენ არავის არ მივცემთ უფლებას, ხაზგასმით აღნიშნა ს. კანიამ, რომ ადამიანები, რომლებიც მუშათა ინტერესების „დამცველთა“ სამოსელში ეხვევიან, ეწეოდნენ სოციალიზმის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას. საშიშია, როცა ცდილობენ იმოქმედონ სოციალიზმის ძირითადი სახელმწიფო პრინციპების, მისი კლასობრივი და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ.

ჩვენ უფრო მტკიცედ ვიმოქმედებთ, ვიმოქმედებთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე მიღებული კურსის შესაბამისად, რომელიც ერთსულოვნად დაადასტურა ახლანდელმა პლენუმმა, გაბაკუნდა დასასრულ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა.

თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროში

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის საააგენტო იუწყება, გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საბჭოს სხდომა.

სამხედრო საბჭომ განიხილა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებანი და ღრმა შეფფოთება გამოთქვა ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებას. ასეთი ვითარების შემდგომმა შენარჩუნებამ, ხაზგასმულია ცნობაში, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ნეგატიური შედეგები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის.

სხდომის დროს დასახეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში შემდგომი მუშაობის ამოცანები.

სტიქიური პოგოქრობა

რომი. კვლავ აღინიშნა ძლიერი მიწისძვრა ბიძგები სამხრეთ იტალიაში. სეისმოლოგიური სადგურების მონაცემებით, ორი ბიგის სიმძლავრე 7 ბალს აღწევდა აქ მიღებული 12-ბალიანი სკალის მიხედვით. დანაჩრენები ნაკლები ძალისა იყო.

ახლა მიწისძვრამ დაანგრია ბევრი აქამდე დაზიანებული ნენი და თავზარი დასცა მოსახლეობას. ნეაპოლის, პოტენცისა და ბევრი სხვა დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებმა ღამე ქუჩაში გაათიეს.

სპეციალისტთა მონაცემების თანახმად, ამ მიწისძვრა ბიძგების ეპიცენტრი იმავე ადგილზე გადის, სადაც 23 ნოემბრის დამაგრეველი მიწისძვრის ეპიცენტრი იყო.

ამ დღეებში მიწისძვრის ამბები მოდის აგრეთვე იგოსლავიისა და ახლო აღმოსავლეთის ბევრი სხვა ქვეყნიდანაც.

სამხრეთ ესპანეთში მოხდა 4,5-ბალიანი (რიხტერის სკალის მიხედვით) მიწისძვრა.

მიწისძვრა მოხდა დასავლეთ შეიეცარიაში. ნიადაგის რყევა შეიმჩნეოდა აგრეთვე საფრანგეთის ალპებში.

რიხტერის სკალის მიხედვით 3,9-ბალიანი მიწისქვეშა ბიძგი იგრძნეს თურქეთის მუგლის პროვინციის მცხოვრებლებმა. თურქეთის აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში, აგრეთვე ქვეყნის ეგეოსისზღვისპირა რაიონში ფიქსირებულია 50-დან 60-მდე სუსტი რყევა.

ალჟირის ქალაქ ელ-ასნამის რაიონში, სადაც 10 ოქტომბრის ძლიერი მიწისძვრა მოხდა, კვლავ აღირიცხა 43 მიწისქვეშა ბიძგი.

რიხტერის სკალის მიხედვით 5,2 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა ირანის კასპიის სანაპიროზე.

საგჭოთა ფითელი ჯვრის დახმარება

ხელმძღვანელობს რა ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობებით, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირმა გადაწყვიტა უსასყიდლო დახმარება გაუწიოს ძლიერი მიწისძვრით დაზარალებულ იტალიის მოსახლეობას.

უახლოეს დღეებში საბჭოთა წითელი ჯვრის საჩუქარი — მედიკამენტები, გადასახვევი საშუალებები და კარვები — აეროფლოტის სპეციალური რეისით ჩაფენა იტალიის წითელი ჯვრის საზოგადოებას.

საბჭოთა წინადადების მსარდასაჭერად

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში მხარი დუჭირეს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ უახლოეს ხანში შეიმუშაონ მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ. საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ 1976 წელს წამოაყენა წინადადება შეემუშავებინათ და დაედოთ ასეთი ხელშეკრულება და ერების გაერთიანებაში განსახილველად შეეტანა შესაბამისი პროექტი.

ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ხმების დიდი უმრავლესობით მიღებულ რეზოლუციაში კიდევ ერთხელ არის დადასტურებული, რომ „საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის პრინციპის საყოველთაო და ქმედითი დანერგვა და ამ საქმეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმეწყობა“. ასამბლეამ დაადგინა, რომ ამ პრობლემის განმხილველმა სპეციალურმა კომიტეტმა უნდა განაგრძოს მუშაობა ხელშეკრულებაზე და თავისი მოხსენება წარუდგინოს მომდევნო სესიას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატოს სხვა ქვეყნებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაილაშქრეს იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც ძალის გამოყენებას კანონგარეშე გამოაცხადებენ.

ნატოს ქვეყნებთან ერთად რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ ისრაელმა და იაპონიამ.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

5 დეკემბერი

● **ბერლინი.** „საუკეთესო მიღწევები — გერმანიის ერთიანი სოციალისტური რესპუბლიკის X ყრილობას“ — ასეთი ლოზუნგით მიმდინარეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.

● **მადრიდი.** ესპანეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მოიწონა მთავრობის მიერ წარმოდგენილი 1981 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 435 მილიარდი პესეტის დაგეგმილი დეფიციტით.

● **ბეირუთი.** აქ იასირ არაფატის თავმჯდომარეობით გაიმართა პალესტინის ხელმძღვანელობის გაფართოებული სხდომა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის წევრების, პალესტინის ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლების, პალესტინის სხვა პატრიოტული ძალების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

ფინეთის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე

კეთილმეზობლობა, თანამშრომლობა

ფინეთის დამოუკიდებლობა დიდი ოქტომბრის ტოლია. და, თითქოს ამ ქვეყნის ისტორიასთან ოქტომბრის რევოლუციის განუყრელ კავშირს ხაზს უსვამსო, ყოველწლიურად 7 ნოემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით მთელ ფინეთში იმართება საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის ერთთვიური, რომელსაც აწყობს „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოება.

„ფინეთმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, დამოუკიდებლობა ვ. ი. ლენინისაგან მიიღო. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ მის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი კარგი საფუძველი გახდა მომავალში კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისათვის“, — თქვა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრმა მატი კეკონენმა.

1948 წელს დაიდო საბჭოთა კავშირ-ფინეთი ს ხელშეკრულ ე ბ ა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. და იგი შესანიშნავი ბაზაა ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის. როგორც საბჭოთა კავშირში ფინეთის პრეზიდენტის უ. კეკონენის ამასწინანდელი ოფიციალური ვიზიტის დროს მიღებულ საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკეშია აღნიშნული, „ხელშეკრულების მოქმედების გამოცდილებამ დამაჯერებლად დაადასტურა მისი ისტორიული ღირებულება და წარუვალი მნიშვნელობა საბჭოთა და ფინელი ხალხების ურთიერთობისათვის“.

ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტ უ. კეკონენის ვიზიტი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამ ურთიერთობის განმტკიცების გზაზე.

კეთილმეზობლური ურთიერთობის არსებითი ელემენტია ხელსაყრელი საავჭრო-ეკონომიკური, სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირის წილი ფინეთის საქონელბრუნვაში საგრაო ვაჭრობის მთელი მოცულობის დაახლოებით მეხუთედს შეადგენს.

წარმატებით ხორციელდება სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური სამრეწველო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც 1990 წლამდეა დადებული. უ. კეკონენის ვიზიტის დროს ხელმოწერილია ამ პროგრამის ოქმი, რომელიც მისი მოქმედების ვადას ავრძელებს 1995 წლის დამლევამდე, აზუსტებს და ავსებს მის შინაარსს.

გაზეთ „უუსი სუომი“, განმარტავდა რა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, წერდა, რომ გრძელვადიანი პროგრამა და ხელშეწერილი მისი ოქმი მსოფლიო პრაქტიკაში უნიკალური დოკუმენტებია მათი გრძელი ვადისა და შინაარსის თვალსაზრისით.

უნდა ითქვას, რომ არ არის ცხოვრების ისეთი სფერო, რომელზეც არ ვრცელდებოდეს სსრ კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობა. კერძოდ, იგი ეხება ურთიერთობას მეცნიერების, კულტურის, განათლების, ტურიზმისა და სპორტის დარგში. აგრეთვე პროფკავშირული, ახალგაზრდული, ქალთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ურთიერთობას.

წელს მეგობრობის ერთთვიურის დროს ფინეთის ოცი ქალაქის მცხოვრებლებმა ნახეს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ე. სერკებაევის ხელმძღვანელობით ყაზახეთის მსახიობთა დიდი ჯგუფის გამოსვლები. ფინეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს ი. ე. რეპინის ნაწარმოებთა გამოფენისადმი, რომელიც მოწყობილი იყო ჰელსინკის უდიდეს ეროვნულ სამხატვრო მუზეუმში „ატენეუმში“. გიმორთა საბჭოთა კავშირ-ფინეთის სემინარი „ხელოვნება და თანამედროვება“, რომელშიც მონაწილეობდნენ ორივე ქვეყნის კულტურის მოღვაწენი.

ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ „ფინეთ-საბჭოთა კავშირისა“ და „სსრ კავშირ-ფინეთის“ საზოგადოებები. ფინეთის 50 ქალაქი მეგობრობს საბჭოთა ქალაქებთან: მოსკოვი და ჰელსინკი, ლენინგრადი და ტაბერკუ, კიევი და ტამპერე, რიგა და პორი, ხაპოროვიე, და ლახტი... მეგობრობენ ქალაქები, მეგობრობენ ხალხები.

კეთილმეზობლობა, მეგობრობა და თანამშრომლობა — ამ სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა, რომელიც ემსახურება მშვიდობის, უშიშროების, დაძაბულობის შენელების საქმეს.

ა. გორბუნოვი.

ჰელსინკი.

სურათებზე: ჰელსინკის სახახლე „ფინეთი“ (ქვემოთ). აქ 1975 წელს ხელი მოაწერეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სახლოლო აქტს; საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული საავტო საზოგადოების „კონელის“ ერთ-ერთ ცენტრში. ეს საზოგადოება ოცდაათ წელზე მეტია საბჭოურ ავტომანქანებს ყიდის ფინეთში.

ლენინგრადი

ყაბალი

პირველი მატჩები

თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო რიგით მეთოთხმეტე ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა ხელბურთში ბაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

ეს შეჯიბრება ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ კალენდარში შედის და, ჩვეულებრივ, ევროპის საუკეთესო გუნდებს უყრის თავს:

ახლანდელ ასპარეზობაში მონაწილეობენ 1972 და 1976 წლების ოლიმპიური ჩემპიონები — იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული, სტუდენტური და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ამ ტურნირში საქართველოს ნაკრები შესულტებული შემადგენლობით ითამაშებს, რადგან, როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ძირითადი გუნდი თბილისის „ქარიშმალა“ ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ხვალ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალის პირველ მატჩში მადრიდში ითამაშებს ადგილობრივი „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ.

ამ მატჩში მონაწილეობის მისაღებად მწვრთნელებმა გ. მაკავარიანმა და ა. ელეოშვილმა 13 მოთამაშე წაიყვანეს. ესენი არიან: ა. კომპანიე, ქ. ბარამიძე, ა. ანპილოგოვი, გ. ბერიაშვილი, გ. ნარიმანიძე, ჯ. დვალიშვილი, ვ. გასი, რ. ჩიბერაშვილი, ვ. ბერიაშვილი, ა. ნავროზაშვილი, ა. ტაბიძე, ზ. დოლიძე და ზ. კეკელიძე.

გუშინ ტურნირის ხაზეიმო გახსნამდე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი და საქართველოს ნაკრები გუნდები, ანგარიშით 42:14 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

სსრკ-ის სტუდენტურმა ნაკრებმა მოუგო იუგოსლავიის გუნდს — 21:19.

დღეს ერთმანეთს შეხვდებიან: საქართველო-სსრკ (სტუდენტური), სსრკ I-სსრკ (ახალგაზრდული) და პოლონეთი-იუგოსლავია.

ოლიმპიადა, ოლიმპიადა...

მალტის დედაქალაქ ლა-ვალეტაში მიმდინარე მსოფლიო საქალაქო ოლიმპიადაზე გათამაშდა მეთორმეტე და მეცამეტე ტურის პარტიები.

მეთორმეტე ტურში ჩვენი ქვეყნის ვაჟთა ნაკრებმა ანგარიშით 3,5:0,5 დაამარცხა არგენტინის გუნდი. მისმა მთავარმა მეტოქემ უნგრეთის ნაკრებმა კი ანგარიშით 3:1 სძლია რუმინეთის გუნდს.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრები მეთორმეტე ტურში ხვდებოდა ჩინეთის გუნდს. ჯერჯერობით ანგარიში საყაიმოა — 1:1 (ერთი პარტია გადადებულია). უნგრელი მოჭადრაკეები უგებენ ფრანგებს— 2:0. (აქაც ერთი პარტიაა გადადებული).

მეცამეტე ტურში ლიდერებმა საბჭოთა და უნგრეთის ვაჟთა გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით 2,5:1:5 დაამარცხეს შესაბამისად რუმინელი და ბულგარელი მოჭადრაკეები და ახლა 35,5-35,5 ქულით ლიდერობენ შეჯიბრებას.

ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრებმა მეცამეტე ტურში ანგარიშით 3:0 მოუგო აშშ-ის ნაკრებს, უნგრეთის ქალთა ნაკრებმა კი იუგოსლავებს 2:1.

დღეისათვის ქალთა შორის ლიდერობს სსრკ-ის გუნდი, რომელსაც 30,5 ქულა აქვს. უნგრეთის ნაკრები 30 ქულით მეორე ადგილზეა.

შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა.

აქვე, ლა-ვალეტაში ფიდეს კონგრესმა უმაღლესი ტიტულები მიანიჭა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებსაც. ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატები გახდნენ გ. კასპაროვი, ვ. კუპრეიჩიკი, ა. პანჩენკო, ნ. რამკოვსკი, გ. ტიმოშჩენკო და ა. იუსუპოვი, ქალთა შორის — ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი.

ფეხბურთის ამბები

ფრე მსოფლიო ჩემპიონთან

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელიც გაწაგრძობს თავის საზღვარგარეთულ ტურნეს, არგენტინის ქალაქ მარდელპლატაში ამხანაგურ მატჩში შეხვდა ამ ქვეყნის ნაკრებს.

სპეციალისტების აზრით, ჩვენმა გუნდმა სახახობრივად მეტად საინტერესოდ, ტემპერამენტიანად ითამაშა, ხოლო მასპინძლები, რომლებიც თავიანთ თამაშს ძირითადად მარადონაზე აგებდნენ, უფრო ფერმკრთალად გამოიყურებოდნენ.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ჩვენი გუნდიდან ბურთი გაიტანა ოპანესიანმა, ხოლო მასპინძელთაგან — მარადონამ.

ჩვენი ქვეყნის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: დასაეკი, სულაქველიძე, კაპლუნი, ჩივაძე, ბუბნოვი, რომანცევი, ბურიაკი (შავლო), ტარხანოვი (შეეცოვი), ჩერენკოვი (პონომარიოვი), ოპანესიანი, ანდრეევი.

* * *

საზღვარგარეთულ ტურნეებს წარმატებით განაგრძობდნენ საბჭოთა კავშირის საკლუბო გუნდები. კასაბლანკაში დინამოკის „მატიორი“ ეთამაშა მაროკოს ერთ-ერთ წამყვან კლუბს „რაჟას“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2, ხოლო ალმა-ათის „ყაირათმა“ ხართუმში დაამარცხა სუდანის ნაკრები ანგარიშით 1:0.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

□ 8 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 17.00 — მულტიკინო,ანიმაციური ფილმი, 17.25 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 17.55 — განცხადებები, 18.00 — მოსწავლეთათვის — „წერილები სხვიერორიდან“, 18.45 — პასუხი გალემაკურებლეთა შეკითხვებზე, 19.20 — დოკუმენტური ფილმი „ფილი — ინდოეთის დედაქალაქი“ (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენ-ებას!“ — მაიაკოვსკის რაიონი, 21.25 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — „სპორტული კალეიდოსკოპი“, 23.30 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 15.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ბენზინის ჩამომსხმელი“, „ოუთენბი“, 16.25 — განცხადებები, 16.30 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 17.00 — მულტიკინო,ანიმაციური ფილმები, 17.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. „საველეგანიზო“ დოკუმენტური ფილმების პროგრამა. „ოუდენი“ — „სიმინპალაგინსკი“, „კემეროვო“ 18.40 — „კომუნისტი ეკრანზე“ — მხატვრული ფილმი „გაბნა,ოუთრეტული ნიშნები არა აქვს“. პირველი სერია.

□ 9 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.50 — დოკუმენტური ფილმი — „ერთი ცხოვრების ხუთი ფურცელი“, 10.40 — მხატვრული ფილმი — „ივანე და კოლომბინა“, 17.00 — აბიბურიენგოთათვის — ქართული ენა, 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ტერი“, 17.55 — „ჩვენს ოჯახში“ — განცხადებები, 18.05 — „ქართული ენა“ — ბავშვებისათვის — „ბავშვობა“, 18.50 — მუსიკალური შესვენება, 18.55 — „ბავშვთა დაბადება“, 19.30 — „მოამბე“, 20.00 — „ს.კ.კ 26-ე ყრილობის შესახვედრად“ — ყირგიზეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.00 — „ბალეტის მოყვარულთათვის“, 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 15.45 — დოკუმენტური ფილმი „ლუდმილა ზიკინას კონცერტზე“, 16.35 — განცხადებები, 16.40 — რუსული ს,კოლის მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.10 — „კინონარკვევი“, 17.20 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — „კომუნისტი ეკრანზე“ — მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს“. მეორე სერია.

□ 10 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კოსმოსის შორეული გზები“, 11.00 — მხატვრული ფილმი „სიახლენი ფლორენციის ჭიჭაზე“, 17.00 — „ეკონომიკური ინფორმაციები“, 17.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. „საველეგანიზო“ დოკუმენტური ფილმების პროგრამა. „ოუდენი“ — „სიმინპალაგინსკი“, „კემეროვო“ 18.40 — „კომუნისტი ეკრანზე“ — მხატვრული ფილმი „გაბნა,ოუთრეტული ნიშნები არა აქვს“. პირველი სერია.

□ 11 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.05 — საგეგლეგანიზო დოკუმენტური ფილმი „თეთრი აგარაკი“, 10.50 — მხატვრული ფილმი „პრემიერის წინ“, 17.00 — აბიბურიენგოთათვის — ფიზიკა, 17.30 — განცხადებები, 17.50 — აბიბურიენგოთათვის — ბიოლოგია, 18.20 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქოლგა“, 18.40 — გადაცემა „ახალგაზრდობისათვის „შთამომავლობით მზისანი ვართ“, 19.10 — „მილიონთა ლენინური უნივერსიადები“ (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.50 — იმღერი მხატვრული ფილმი „ზიგა და გიგა“, მეორე სერია (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.00 — „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ (გადაცემა პირველი), 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 15.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგეგლეგანიზო დოკუმენტური ფილმი „წიალში“, 16.25 — განცხადებები, 16.30 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 17.00 — მუსიკალური ფილმი, 17.40 — მასწავლებლის საათი — რუსული ენა, 18.25 — მხატვრული ფილმი „სხვათა ცოდვების მონანიება“.

□ 12 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.05 — საგეგლეგანიზო დოკუმენტური ფილმი „ი. ილინსკი ზიმნენკოს შესახებ“, 11.05 — მხატვრული ფილმი — „ჩამოსული ქალი“, 17.00 — საგეგლეგანიზოთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩიტუნია გარო“, 17.45 — ფერადსკოვანი ფარნული ენა, 18.15 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — ინფორმაციის მხატვრული კოლეგიტეების კონცერტი (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „ს.კ.კ 26-ე ყრილობის შესახვედრად“. „დიადი ნეტარ ფურცლები“ — „30-იანი წლების ადამიანები“. ფილმი მეორე (მ.), 21.00 — „მოამბე“, 21.30—„მშვენიერება დამბენდეს ამ“ — მიქიოანგელოს პოეზია, 22.00 — „ეტიუდი“ (მ.), 23.00 — „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ (გადაცემა მეორე), 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.25 — ინფორმაციები, 16.30 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.00 — „ჩვენს დიად სამშობლოში“. „საველეგანიზო“ დოკუმენტური ფილმი — „ეს, სადაც ოდესღაც ტყე ფოთლიანობდა“, 17.30 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია, 18.15 — „საველეგანიზო“ დოკუმენტური ფილმი „ბ